ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტის" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართის საგანგებო სიტუაციების მართვის წესი

მუხლი 1. შესავალი

ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტის" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართის შემდგომში კოლეჯი საგანგებო სიტუაციების მართვის წესი (შემდგომში მართვის წესი) შემუშავებულია ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების, ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მეთოდების საფუძველზე.

მუხლი 2.გეგმის მიზანი

საგანგებო სიტუაციების მართვის წესი განსაზღვრავს კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს,მართვის პროცესის განხორციელებას საობიექტო დონეზე.მართვის წესის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან კოლეჯის თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიების წარმართვა,საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების,მისი განვითრების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება/ორგანიზება და შესაბამის პირთა კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შეფასება

კოლეჯის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართი მდებარეობს ზომიერი მიწისძვრის ინტესივობის რაიონში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ გორაბერეჟოულში.

მუხლი 4. ობიექტის დახასიათება

4.1კოლეჯის შენობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გორაბერეჟოულში არის ერთსასრთულიანი .შენობას აქვს 4 საევაკუაციო გასასვლელი,რომელიც მიემართება გარეთ და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4.2კოლეჯის შენობა ნაგებობაში განთავსებულია ცენტრალური გათბობის სისტემა,რომელიც აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს.

4.3შენობა უზრუნველყოფილია წყლით,გაზით და ელექტროენერგიით,მათი ჩამკეტი/გამშვები მარეგურირებელი მოწყობილებებით.

4.4გაზის მიწოდება ხორციელდება გორაბერეჟოულის სასწავლო ფართში განთავსებულ საქვაბეში .

4.5. შენობა აღჭურვილია ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით;ევაკუაციის გზის მანათობელი მაჩვენებლებით;ავარიული განათებით;სახანძრო ინვენტარით,ხანძარსაწინააღმდეგო გამაფრთხილებელი ამკრძალავი ნიშნებით;

4.6.კოლეჯის შენობაში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები (4 ცალი) .

მუხლი 5. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელები სწავლება

5.1 კოლეჯი უზრუნველყოფს დასაქმებულების პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისათვის საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების გაცნობას .

5.2.კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული სწავლებების განხორციელებას ადგილზე 6 თვეში ერთხელ .

მუხლი 6. საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი,ფუნქციონალური მოვალეობები

6. 1.კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით კოოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით -ბრძანებით იქმნება საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი.

6 2. საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე.

6.3 საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები :

ა)პასუხისმგებელია კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე მუდმივი მზადყოფნისათვის ,რეაგირების დაგეგმვის და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე მშვიდობიან და ომის შემთხვევაში.

ბ)მართვის ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება.

გ)თანამშრომელთა დადგენილი წესის მიხედვით დროულად ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში;

დ)ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშოების ჩატრება;

ე)-განსაზღვროს შენობის საევაკუაციო გზები და გასასვლელები,იზრუნოს მათზე მანიშნელენელი ნიშნების დაყენებაზე;

ვ)ორგანიზება გაუკეთოს თანამშრომლთა რაოდენობის განსაზღვრას მათი ოპერატიულად ევაკუციის მიზნით;

ზ)მონაწილეობა მიიღოს ევაკუაციის შემთხვევაში ევაკუირებელთა მომარაგებაში პირველადი მოხმარების ნივთებით;

თ)-აქტიური მონაწილეობა მიიღოს ობიექტის რეაგირების გეგმის შემუშავებაში,ევაკუაციის საკითხების დაზუსტებაში;

ი)საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში იცოდეს და წინასწარ ჰქონდეს მომზდებული თანამშრომელთა უსაფრთხო ადგილებში გადაადგილებისათვის საჭირო მონაცემები;

კ)ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში სპეციალური სიგნალებით და ხმამაღლა მოლაპარაკეთ , დროულად შეტყობინოს თანამშრომლებს ევაკუაციის დაწყება და ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომელთა გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე,მათი უსაფრთხო ადგილებში გადასაყვანად.

ლ)აქტიური მონაწილეობა მიიღოს საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმის შემუშავებაში.

მ)ორგანიზება გაუკეთოს მართვის,კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას.

ნ)დროულად განახორციელოს შეტყობინება დირექციისთვის და პერსონალის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

ო)პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ დაზიანებულ ადამიანებს;

პ)კოლეჯში შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ აცნობოს შესაბამის მუნიციპალურ სამედიცინო დაწესებულებას.

ჟ)ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება.

რ)დაიცვას წესრიგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში;

ს)რეგულარულად შეამოწმოს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა.

ტ) საგანგებო სიტუაციების განვითარებისას უზრუნველყოს განგაშის ზარის ჩართვა ;

მუხლი. 7.გარდამავალი დებულებანი

7.1. საკითხები რომლებიც არ არის ასახული წესში რეგულირდება

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

9.1. ამ წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
9.2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული- სამართლებრივი აქტით- ბრძანებით.

დირექტორი : **ნანა ჯოლია**